

# პროკორციული თუ მაჟორიტარული - რომელი სისტემით ჩატარდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები?

მარი კოპოვიძი

2019 წლის 24 ივნისს მართული გუნდის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდუალურად პიროვნებები აღარ იყრიან კენჭს და ხმის მიცემაც ამომრჩევლის მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანებისთვის შეეძლება. შესაბამისად პარლამენტის წევრი გახდება ის პირი, რომელიც პოლიტიკური გაერთიანების მიერ იქნება საიში შეყვანილი.

აღნიშნული ინიციატივის დადებით და უარყოფით მხარეებზე სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებების ადგილობრივ ლიდერებს ვესაუბრეთ.

**მერაბ ჭანუყვამი**, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოპოზიციის ორგანიზაციის თავმჯდომარე: - ჩვენი ხელისუფლება მოსვლის დღიდან



ითვალისწინებს საზოგადოების აზრს. პროპორციულ არჩევნებზე გადასვლაც, რომელიც 2024 წელს ისედაც იყო კონსტიტუციით განსაზღვრული, ნათელი მაგალითია ამ ყველაფრის. 2020 წელს ჩვენ გვეჩვენა ახალი საარჩევნო გარემო, რომელიც იქნება დემოკრატიის მტკიცე გარანტი ჩვენი საზოგადოებისათვის და, რა თქმა უნდა, მივესალმებით ამ გადაწყვეტილებას.



**შოთა გოგიბაშიანი** („პატრიოტთა ალიანსი“, საკრებულოს დეპუტატი): არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება იქნება დიდი წინსვლა ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის. საქართველოში ვერ ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ყველას ეშინოდა. ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა აიძულა მმართველი

პოლიტიკური ძალა წასულიყო დათმობაზე. დიდი ფორა ჰქონდა მმართველ ძალას შერეული პრინციპით არჩევნებისას. 73 მაჟორიტარი მოლიანდ თავისი გაყვლების ქვეშ ეყოლებოდა. ამას დაამატებდა სხვა ბონუსები და ჩათვალეთ, რომ 50-60% მარტივად გასაკონტროლებელი იქნებოდა პარლამენტში. რა თქმა უნდა, ამის დათმობა ყველას უჭირს. დააკვირდით, ვინ აპროტესტებს პროპორციულ სისტემას გადასვლას - მიხედავს საკაშვლი. ის არ ეთანხმება მმართველ გუნდს, არ მაჩნია, რომ ეს არის დათმობა მათი მხრიდან. ის ილუზიებით ცხოვრობს და მაჩნია, რომ ოდესმე კიდევ ექნება ხელისუფლებაში დაბრუნების და არ უნდა ეს ბერკეტი გაუშვას ხელიდან.

მაჟორიტარულად ისეთი ხალხი იყრიან კენჭს საქართველოს რეგიონებში, რომლებიც ერთგვარად

მაჟორიტარი, ფინანსური კლანების წარმომადგენლები არიან. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ქვეყნის მმართველი. თუ სააკაშვილი იქნებოდა მმართველი, მის სამსახურში ჩადებდნენ, იყვნენ კიდევ. იგივე ხალხია ახლა მაჟორიტარულად, მცირე გამონაკლისების გარდა. თუ დააკვირდებით მაჟორიტარების სახეებს, ისინი იყვნენ „მოქალაქეთა კავშირში“, შემდეგ „ნაციონალური მოძრაობაში“, ახლა „ქართული ოცნებაში“. ეს დასრულდება. ექვთიმის მაჟორიტარებისაგან არჩევნების გათავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართული პოლიტიკისთვის, - უფრო დემოკრატიული გახდება არჩევნები.

მსგავსი არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში 1918 წელს ჩატარდა. ძალიან დემოკრატიული იყო ის ისტორიული არჩევნები. თუ განსოვით, გაე-

რტიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნა 2009-10 წლებში სწორედ რეგიონულ-პროპორციული სისტემით არჩევნებს უკავშირდებოდა. მაშინ ეროვნული ფორუმის, რესპუბლიკელების და სხვა პოლიტიკური ძალების გაერთიანება ითხოვდა ამ პრინციპით არჩევნების ჩატარებას. ახლა რამდენად მიღწევადი იქნება რეგიონულ-პროპორციული არჩევნები ვერ გეტყვით. ეს უკვე პოლიტიკური მოლაპარაკების საგანი გახდა პარლამენტში. ალბად დაიხვეწება ეს შემოთავაზება და იმ ფორმას მიიღებს, რომლითაც უფრო დემოკრატიული გახდება საქართველოში არჩევნები. რაც შეეხება ნულთან ბარიერს, ესეც მსჯელობის საგანია. თუმცა, მაინც, რომ პოლიტიკურად ისეთი მიმე ფონი შეიქმნა „ქართული ოცნებისა“ და

გზ-3

## კ ა ვ კ ა ვ ა დ ი ა

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .  
 ყოველკვირეული გამოცემა. № 26 (10319) 1 ივლისი, 2019 წ. შპსი 60 თმთრი.

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

## ფრაქცია „ოპოზიციის მომავლისათვის“ წევრებმა საპრემიუმოს სხდომა დატოვეს

25 ივნისს, ოპოზიციის მხრიდან პარლამენტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განცხადება გააკეთა ფრაქცია „ოპოზიციის მომავლისათვის“ თავმჯდომარე **ლევან მელაქიძე**. როგორც მან აღნიშნა, ფრაქციის წევრები უთანხმოებენ 20 ივლისს საპროტესტო მიტინგზე ფიზიკურად და მორალურად დაშვებულებს და მომომხილებს, სრულიად იზარებენ მომიტინგეების მოთხოვნებს. განთავისუფლდეს უკანონოდ დაკავებული და უკანონოდ გასამართლებული მომიტინგეები, გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი და უპაკრესად დაისაჯოს შს-ს თანამშრომლები, რომლებმაც გადაამუშავეს თავიანთ უფლებამოსეობებს.

პროტესტის ნიშნად ფრაქციის წევრმა დეპუტატებმა **ლევან მელაქიძე**, **მიხეილ გოგოტიშვილი** და **მაია ზიბიძე** საკრებულოს

სხდომის დარბაზი დატოვეს. საკრებულოს სხდომაზე განცხადება გააკეთა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა **შალვა თავიშვილი**, რომლის თქმით, მომხდარს სათანადოდ შეფასებს ქართველი ხალხი, მაგრამ საკრებულოს დღეს ამ ფაქტის შეფასება უნდა დაეწყო სხდომა.

თავიშვილის თქმით, ისეთი, რამ, რაც თბილისში 20 ივნისს მოხდა, არასდროს მომხდარა, თვალები არავის არავისთვის დაუთხრია. სხდომა პროტესტის ნიშნად მანაც დატოვა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ლურჯულიძე** უპასუხა: რიგგარეშე სხდომა იმიტომ მოეწვიეთ, რომ სახელმწიფო უზარმაზარ ინვესტიციას იღებს, ოპოზიციის წევრებში სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის თანამდროვე შერბობის ასაგებად თქვენს . თქვენს ქმედებებს კი ხალხი მართლაც გასცემს პასუხს.



## ურემი წლებად საპროტესტო სემინარები და ბეპრი საიდუმლოსთვის ფარდის ახლის მოლოდინში

თეზურ მარშანიშვილი

სანამ ურემის სადღესობა პრობლემების გაცნობას შეუდგები, მათ საყურადღებოდ, ვინც რკინიგზის გადასავლელიდან მაგნეტიტისკენ მიმავალ უტრატულარო გზას ქვეითად გაუყვება: განსაკუთრებული სიფრთხილედ მართებთ, რადგან აქ ავტომობილები მაქსიმალური სიჩქარით დაქრან და თუ შენიშვნა მიეცით, რომელიმე თავხედი მძღოლისგან პასუხად შეიძლება სულ ცოტა, „წადი შენი“ მიიღოთ. ვიდეოკამერა კი შევაჩინებ და მონიტორინგში, მაგრამ, არა მგონია, ჩართული იყოს, თორემ ასეთი სიტუაცია ნამდვილად არ იქნებოდა. „სანამ ურემი გადაბრუნდება“, კარგი იქნება თუ პატრული მსუბუქ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს გაატარებს.



არ გაურბის მედიასთან საუბარს, დღესდღეობით უპირველესი პრობლემა გახლავთ კურორტის ტერიტორიაზე შემოსული მოხეტიალე ძაღლები. რობაქიძე ამბობს, რომ იყვნენ ჩამოსული შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები, სათანადოდ გაისარჯნენ კიდევ, მაგრამ თუ რაღაც კარდინალური ღონისძიება არ გატარდება, რა თქმა უნდა, კანონის ჩარჩოებში, ისე მომრავლდნენ, მოსახლეობასაც საფრთხე ექმნება და დამსვენებელსაც.

ერთი ურეკელი ქალბატონის აზრით კი, თუ ასე გასტანა, მოხეტიალე ძაღლები აქ მეტი ეყოლებათ, ვიდრე დამ-

სვენებელი. ვიზუალურად კურორტი ცუდად არ გამოიყურება. შერშანდელთან შედარებით თვამოსული მოხეტიალე ძაღლები საკმარისად გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, არსად ჩანს უსასური, ქონხმანისმაგვარი ჯიხურები, განახლებულია ზღვისპირა მწვანე ზოლი, სუფთავდება პლაჟი, ნორმალურ რეჟიმში მუშაობს სასტუმროები და დასასვენებელი სახლები, კვების ობიექტები. მოვაჭრეებმა ვერა და ვერ დაიშალეს ტროტუარების ფართის დაკავება, ლამის ავტომობილების სავალ ნაწილზე არიან გადმოსული. კვლავ პრობლემად რჩება ყურისწა-

მლები ხმაური რაც ძირითადად გამოიწვეულია სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების მეპატრონეთა აზრებით, მუსიკალური ინსტრუმენტების მაქსიმალურ ხმაზე გაუფრებობით, დაბალი მუსიკალური გემოვნებით.

უწყლობის თემას დაუბრუნდეთ, ადგილობრივების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი წყალმომარაგების პროექტი დამთავრებულია, ურემის ზოგიერთ უბანს წყალი საერთოდ არ მიეწოდება. მოსახლეობა ძირითადად არტეზიული ჭების მოიძებნა. მაგრამ

გზ-3



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**

რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებსკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე

«ალიონი»

### ოზურგეთში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი შენობა აიგება



ქ. ოზურგეთში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, „სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისთვის ასაშენებელი შენობის პროექტის მოწონების თაობაზე იმსჯელეს. —უზარმაზარი ინვესტიცია ხორციელდება, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი შენობა აიგება, სადაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების 4 ეკიპაჟი იმუშავებს და რეგიონს რეანიმობილი ეწოდება — განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ლურჯაშვილი**.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ახალი ცენტრის შენობის ესკიზი დეტალურად არქიტექტორმა **თამაზ ლომჯარიამ** გააცნო.

### ზურაბ ნასარაიამ ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოზურგეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

მიმდინარეობს სოფელ ხვარბეთის გავლით, კონკრეტის (კატისციხე) სახელმძღვანელო დასახლებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

კომპანია შპს „ბლექსი გრუპი“ 4 868 მეტრი სიგრძის გზის მოასფალტებას ახორციელებს. პროექტი სანიტარულ არხებისა და მოსახლეობის ჭიმკრებთან მისასვლელის მოწყობასაც ითვალისწინებს. სამუშაოების ჯამური ღირებულება 977 777 ლარს შეადგენს.

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლეჩხაის გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია (5667 გრმ.მ). სამუშაოებს შპს „პალადა“ აწარმოებს და მისი ღირებულება 1 893 763 ლარს შეადგენს.

სოფელ ცხემლისხიდი-სოფ.ვაკი-ჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. (1662 გრმ.მ) სამუშაოებს შპს „ბონდი 2009“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 730 000 ლარს შეადგენს.

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლეჩხაის გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით არსებული გზის რეაბილიტაცია. (5666 გრმ.მ) სამუშაოებს შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 1 434 400 ლარს შეადგენს.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მიმდინარე წელს დასრულდება.

### დაბა ნასაკირალში ახალი სკოლის მშენებლობა იწყება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში **Design-Build** მეთოდით 600 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა იწყება.

განსახორციელებელ სამუშაოებზე ტენდერი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა, რომელიც შ.პ.ს. „იმპოსტმა“ მოიგო.

ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ადგილზე მშენებელი კომპანიისა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. გამარჯვებული კომპანია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ სკოლის მშენებლობას დაიწყებს.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 7 022 440 ლარს შეადგენს.

### საქართველოს მწერალთა შემაჯავებელი კავშირის 25-ე ყრილობაზე

23 ივნისს თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის 25-ე ყრილობა, რომელშიც გურიიდან ხუთმა დელეგატმა - ვეპაქ დობორჯვანიძემ, მავული კვაჭაძემ, ოტია ტრაპაიძემ, ვეპაქ კვაჭაძემ და თემურ მარშანიშვილმა მიიღეს მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ საქართველოს მწერალთა შემაჯავებელი კავშირის თავმჯდომარის, ქალბატონ მავალია გონაშვილის ანგარიშის მოსმენისა და დადებითად შეფასების შემდეგ, მწერალთა რეგიონული ხელმძღვანელებიდან ტრიბუნასთან პირველი მივიდა გურიის მწერალთა თავკაცი ვეპაქ დობორჯვანიძე, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა გურიაში არსებულ რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე, მგრაციის მზარდ პროცესებზე, იმპეტაც, ასეთ პირობებში რა მისია უნდა დაეკისროს რეგიონში მოღვაწე მწერლებს. როგორც ბატონმა ვეპაქმა ყრილობას ამცნო, გურიის მწერალთა ასოციაციის დაფუძნებული ორგანიზაცია მალე დაიწყებს გაზეთ „ლიტერატურული გურია“ გამოშვებას, შესაბამისი ფინანსების მოძიების შემთხვევაში კი, ლიტერატურული ალმანახ „გუბაზოულის“ გამოცემაზეც იზრუნებს.

საქართველოს მწერალთა შემაჯავებელი კავშირის თავმჯდომარედ ხუთი წლის ვადით, ანუ მომავალ ყრილობამდე ისევ აირჩიეს ქალბატონი მავალია გონაშვილი, რომელსაც კვლავინდებურად ოთხი თანათავმჯდომარე ეყოლება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მწერალთა შემაჯავებელი კავშირის 25-ე ყრილობით არც ერთი ტელემუწყობელი არ დაინტერესებულა.

### მიკრობრანტების კონკურსის მეორე ეტაპის პრეზენტაცია

2019 წლის 27 ივნისს ლიტერატურულ კაფე „რვას +1“-ში „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიკრობრანტების კონკურსის II ეტაპის შემავალი პრეზენტაცია გაიმართა.

კონკურსში გამარჯვებულმა საჯარო სკოლების წამომადგენლებმა საზოგადოებას წარუდგინეს განხორციელებული პროექტები.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტები სასკოლო და თემის გარეშე გაუმჯობესების მიზნით მომზადდა და მიუხედავად მცირე თანხისა, შესაძლებელი გახდა გარკვეული ცვლილებების განხორციელება.

წარმოდგენილ იყო:

საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ მომზადებული 7 პროექტი:

1. კითხვა განათლებისთვის! - ოზურგეთის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლა
2. არისტოტელეს გაკვეთილები - ოზურგეთის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა
3. დედამიწაზე სიცოცხლისთვის - ოზურგეთის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა
4. ჯანსაღი ცხოვრების წესი - სპორტული შეჯიბრებები - ოზურგეთის სოფელ შრომის საჯარო სკოლა
5. ჯანსაღი ცხოვრების წესი - ოზურგეთის სოფელ ნავომარის საჯარო სკოლა
6. სახლები უსახლკარო ძაღლებს - ოზურგეთის ლიდერთა სკოლა
7. ჯანსაღი ცხოვრება - ლანჩხუთის, სოფელ ხაჯალოს საჯარო სკოლა

საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებული 3 პროექტი:

1. „სოფლის ფილტვები“ - ხაჯალოს საჯარო სკოლა
2. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია - ნავომარის საჯარო სკოლა
3. ბუღინგი და მისი პრევენცია - შემოქმედის საჯარო სკოლა

პრეზენტაციაზე საუბარი წარიმართა სამომავლო კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ.



### დაბა ნასაკირალში ახალი სკოლის მშენებლობა იწყება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში **Design-Build** მეთოდით 600 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა იწყება.

განსახორციელებელ სამუშაოებზე ტენდერი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა, რომელიც შ.პ.ს. „იმპოსტმა“ მოიგო.

ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ადგილზე მშენებელი კომპანიისა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. გამარჯვებული კომპანია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ სკოლის მშენებლობას დაიწყებს.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 7 022 440 ლარს შეადგენს.



# ურეკი ფლავანდელ საკურორტო სეზონზე და ბევრი საიდუმლოსთვის ფარდის ახლის მოლოდინში



საქმე ისაა, რომ წვერმაღალასა და ხემო ურეკის მიდამოებში არტეზიული წყლები არ იძლევა ფეკტს, რადგან ამ გზით მიღებული წყალი სასმელად უვარვისია, კურორტის ზღვისპირა ზოლში კი ასეთი წყალი ბუნებრივად იფილტრება.

**დავით რობაქიძემ** გვითხრა, რომ მცდარია ინფორმაცია, თითქოს ურეკის ზოგიერთი უბანი უწყლოა:

„წყალი ყველა უბანს მიეწოდება გრაფიკის მიხედვით, მათ შორის ზედა ურეკსაც კვირამი საფერ. ახალი წყალმომარაგების პროექტი დამთავრებულია, ამჟამად მიმდინარეობს გამრიცხველიანება. ახალი წყალსადენი მოსახლეობის 70 პროცენტს უზრუნველყოფს სასმელი წყლით. წვერმაღალისა და ზედა უბნისათვის მომზადდება ახალი პროექტი, დღესდღეობით მოქმედებს არტეზიული წყლები“.

რობაქიძე ჩვენთან საუბარში სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც შეეხო: „ტროტუარების აღგენითი და ახალი საშუალებები საკურორტო სე-

ზონის დამთავრების შემდეგ დაიწყება ბულვარის ტერიტორიაზე, გურიისა და თაყაიშვილის ქუჩებზე, ახალი გარე განათებისათვის გათვალისწინებული პროექტი“.

საერთოდ, გასულ წელთან შედარებით, უფრო სრულყოფილია ინფრასტრუქტურა. დაულავად შრომობენ. ამ მხრივ პრეტენზიები არ არის. მუნიციპალიტეტის სერვისცენტრმა 70 ერთეული სანავე ურნა გამოვიყო დამატებით. 50 მამული დაემატა სამამული სამსახურს, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა. ჭაობიან ზოლში და საკანალიზაციო სისტემებში, სურსათის უვნებლობის სამსახურთან ერთად, ორჯერ ჩავატარეთ სადღეობის შედეგად საშუალებები როგორც ჩვეულებრივი, ისე თერმული დამუშავების წესით. ეს პროცედურა საკურორტო სეზონის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე ჩატარდება“. თქვენი თვალთ შეგიძლიათ ნახოთ, შარშან რომ ჭაობიან ზოლზე წერდით, წელს ის ზოლი მთლიანად

დამშრალია და დამუშავებულია“. ჩვენი რესპოდენტი იმედოვნებს, რომ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით 2020 წელი ისტორიული იქნება ურეკისთვის. გაკეთდება შემოვლითი გზა, რომელიც განმუხტავს ტრანსპორტის ინტენსიურ ნაკადს საკურორტო სეზონის განმავლობაში, კეთილმოეწყობა შიდა გზები, კიდევ უფრო გაფართოვდება და გამრავალფეროვნდება ბულვარი, რობაქიძის თქმით, დამსვენებელთა რაოდენობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე დაძაბულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით ბოლოდროინდელმა:

„დამსვენებელთა უმეტესობა აქ რუსეთიდან და ბელარუსიდან ჩამოდის. ვიცი, რომ ბოლოდროინდელი დაძაბული პოლიტიკური მოვლენების გამო დამსვენებლებმა გააუქმეს თავიანთი ჯავშანი რამდენიმე სასტუმროსთან, 70-მა დამსვენებელმა უარი უთხრა „კოლხიდას“, ასევე გარკვეულმა რაოდენობამ – „მწვანე სახლს“ და სხვა სასტუმროებს. ეს ის დამსვენებლებია, რომლებიც საპრო სივრცით გადაადგილდებიან. აქ მყოფი დამსვენებლები კი გაოცებული არიან თავიანთი პრეზიდენტის საქციელით. ეს პოლიტიკა, ჩვენ რა დავაშავებთ?“

რუსი ეროვნების დამსვენებლებთან შეხვედრა და გასაუბრება არ გამჭირვებია. იქვე პლაჟზე ფრენბურთს თამაშობდნენ სილაში. ქართველებთან თუ თამაშობთ-მეთქი, კკითხე. როგორ არა, მოდი, თქვენც გათამაშებთო.

რობაქიძისაგან რამდენადმე განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელი. ინკონგნიტოდ დარჩენის მსურველი

რესპოდენტის დიდად არ მჯერა, მაგრამ მისგან დასახელებულ რამდენიმე ფაქტზე მაინც უნდა მივაქციო მკითხველის ყურადღება: რესპოდენტის თქმით, დამსვენებელთა რაოდენობა 70 პროცენტით შემცირდა. აქ ახლა რაღაც ფესტივალის ტარდება და იმ ფესტივალის ბავშვები არიან უმეტესად. ახალი წყალმომარაგების მშენებელმა კომპანიამ მშენებლობის ვადები დაარღვია. თუ მხოლოდ გამრიცხველიანება საჭირო და ეს პროცესი დაწყებულია, ხომ შეიძლება გამრიცხველიანებულს მიაწოდონ წყალი და დანარჩენი ქსელი ჩაკეტონ ურდულებით? გაუშვებენ, ალბათ, მომავალი წლის მაისში, ამომრჩევლების გულის მოსაგებად, თუ მანამდე დარჩება ვინმე ამათი მხარდა-

ლი საავტომობილო კოლაფსი. საპატრულო პოლიცია საერთოდ არ შემოდის ურეკში.

ის ჭაობიანი ზოლი ამოვასეთო რომ იძახიან, წყალშემკრებს ფუნქციას ასრულებდა. მისი ამოშრობა და ჩაკეტვა არასწორია. მალე ნახავთ, ძლიერი წვიმების დროს აქ ყველა შენობა დაიტბორება.

წყარომ ისიც გვითხრა რომ ორისამი კვირა, ურეკში სუსი სწავლობს უკანონო მშენებლობის საკითხებს. აღმოჩენილია მრავალი დარღვევა, როგორც მიწის გაცემამდე, ისე მშენებლობებში. საუბარია იმაზე, რომ ამდენი უკანონო მშენებლობა ურეკში არასოდეს ყოფილა, რაზეც თავის დროზე ზედამხედველობის სამსახურმა ან თვალის დახუჭვა, ან კიდევ



მჭერი. საერთო ჯამში 100 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული კანალიზაციის მოწყობაზე, რაც ფაქტობრივად ჩვენთვის წყალში გადაყრილი მილიონებია. კურორტზე არის სრუ-

დაახუჭვინეს. სხვათა შორის, უკანონო მშენებლობებში ერთ-ერთი დიდი სასტუმროს მეპატრონეცაა გარეული. მოკლედ, წყარო ამბობს, რომ ურეკში სუსი მალე ბევრ საიდუმლოს ახლის ფარდას.

## პროპორციული თუ გაშორებული - რომელი სისტემით ჩატარდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები?

ნაციონალური კოალიციის შემხედვარე, რომ მხოლოდ ორი ძალა ჩანს ასპარეზზე. მიმდინარე სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ საზოგადოებაში და დარწმუნებული ვარ ბევრი პოლიტიკური ძალა მოხვდება პარლამენტში, რაც არ იქნება ურიგო.



**მიხეილ გომობიშვილი** (ევროპული საქართველო, საკრებულოს დეპუტატი): პროპორციულ სისტემასზე გადასვლა არის ჩვენი მოთხოვნა და არა მარტო დღეს. დიდი ხანია გავლერებული გვაქვს ეს მოთხოვნა. ეს არის დადებითი ტენდენცია დემოკრატიის განვითარებისთვის. არა მარტო პარლამენტის არჩევნების პროპორციულ სისტემასზე გადასვლა არის კარგი, არამედ ადგილობრივი საკრებულოებზეც თუ გადავა პროპორციული სისტემით არჩევნებს, მივესალმებით. თუმცა ნულოვანი ბარიერი არის სამსჯელო თემა. ამას ახლავს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. დადებითი არის ის,

რომ პარლამენტში შეიძლება მოხდეს ყველა პოლიტიკური პარტია, მოუხედვად იმისა, მას აქვს მასობრივი მხარდაჭერა თუ ნაკლები. მაგრამ მთელი ცული არის ის, რომ შეიძლება ვილაკებდნენ ისარგებლონ ცუდად, რას ვგულისხმობ? შეიძლება ჩამოყალიბდნენ ნებისმიერი იქს პარტია. მოხდეს დაფინანსება ოლიგარქიული ფულიდან და ამ პარტიას რომელიმე რაიონში შეუქმნან იმიჯი და აგროვდეს ბარიერის გადასალახავი ხეები. ანუ თუ ეს პარტია იქნება იგივე დანაშაუნი ქართული ოცნების იქნება ძალიან ცუდი. უამრავი სქება შეიძლება მოიფიქრონ ადამიანებმა და ამით ისარგებლონ რომელიმე რაიონში, სადაც არ არიან „ქართული ოცნების“ მხარდამხრები, შექმნან სხვა პარტია დააფინანსონ. იყიდონ ფულით ხეები როგორც ჩვევია ქართულ ოცნებას და კვლავ მოატყუონ მოსახლეობა. შეიფიქრონ ისეთი ადამიანი პარლამენტში რომელიც შემდეგ ბლოკში გაერთიანდება ქართულ ოცნებასთან. სხვა ქვეყნების მაგალითზე თუ ვისაუბრებთ სულ რამდენიმე ქვეყანაშია ნულოვანი ბარიერი. მე ვფიქრობ რომ ბარიერი მაინც საჭიროა ვინაიდან პარლამენტი არაა ადგილი სადაც შეიძლება ყველა მოხდეს. პარლამენტში უნდა იყვნენ კვალიფიციური პარტიების წარმოდგენილები კვალიფიციური კადრებით რომლებსაც შეუძლიათ კანონმდებლობითი მუშაობა.

**დავით მაგალაძე** (ლელოპარტიული პარტია): საკრებულოს დეპუტატი): ივანიშვილის განცხადება თავიდან ბოლომდე უარყოფითი იყო, მოუხედვად იმისა,



რომ პროპორციულ სისტემასზე გადასვლა დააანონსა. ვერ ერთი უარყოფითია, რომ 2020 წელს დააანონსა არჩევნების ჩატარება. ეს უნდა მოხდეს მიმდინარე წელს შემოდგომამდე. მთლიანად ნულოვანი ბარიერი არტისასხელმწიფობრივი ნაბიჯია და ოლიგარქის მორიგი ხრიკია. 5 პროცენტი უნდა იყოს ბარიერი და საკვლე ბულო არჩევნები, თან პროპორციული. სხვა შემთხვევაში რა განსხვავება იქნება მაჟორიტარებს ჩაისვამ ვიბუმე თუ ერთკაციან პარტიებს შექმნი, გადაანაწილებ და ისე მოისყიდო ამომრჩევლებს. როცა იქნება საკვლე ბულო არჩევნები, მიინებამდე იქნება დაყვანილი მოსყიდვა. ყველას ხომ ვერ მოისყიდის?

ჩვენი მცდელობა, მოგვეპოვებინა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ლიდერების დავით მგაგანაძის ან ბესო ქათამაძის კონტრაქტი, უშედეგოდ დასრულდა. ისინი თბილისში იმყოფებოდნენ და ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს.

## ნანა თაგლუშაძე სამოქალაქო განვითარების ფორუმზე სიტყვით გამოვიდა

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე სახელწოდებით „სამოქალაქო მონაწილეობა“, რომელიც თბილისში 27 ივნისს ჩატარდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნანა თაგლუშაძე ფორუმის მონაწილეებს ესაუბრა განმარტებული პროექტის „რა ყოფილა გურიას“ შესახებ, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) ევროკავშირის დაფინანსებით, საზოგადოებრივ ორგანიზაცია „პროგრესის“ სახელთან ერთად, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით განახორციელდა:

„თხზივე მუნიციპალიტეტის პროექტის ასისტენტები, საველე სამუშაოების გზით, აფექსირებდნენ საინტერესო ობიექტებს და აგროვებდნენ დამატებით ინფორმაციას, სულ შეგროვდა 400-მდე ჩანაწერი; ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან გაიმართა 38 შეხვედრა, რომელსაც 512 ადამიანი დაესწრო; მოეწყო 15 შეხვედრა სამიზნე ჯგუფებთან – პედაგოგებთან, მუზეუმის თანამშრომლებთან, დაცული ტერიტორიის სააგენტოს თანამშრომლებთან, სასტუმროებისა და რესტორნების მეპატრონეებთან, ადგილობრივი ბიზნესის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან, სულ 137



ადამიანთან. შედეგად, ინფორმაცია 304 ობიექტის შესახებ, ე წ ფენების სახით, შესაბამისი გრაფიკული გამოსახელებით („იკონკებით“) განთავსდა Google Map-ზე, შეიქმნა ვებგვერდი ურათლორისტ-გე, სადაც განთავსდა 12 თემატური და 9 სამარშრუტო რუკა; შეიქმნა გურიის ტურიტული კატალოგი და მობილური აპლიკაცია“. ფორუმში „სამოქალაქო მონაწილეობა“ იმართება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში – „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება საჯარო სექტორის მონიტორინგისა და პოლიტიკის დიალოგში გასაქტიურებლად“.







სულთათნა

ნანა (ნიურა) დობროჯინიძე-ჭანუყვაძე



კვანძში საკმაოდ საპასუხისმგებლო უბნის ხელმძღვანელად.

მოგვიანებით გური ჭანუყვაძეზე დაქორწინდა. მის შვილებთან თბილი დამოკიდებულებით შენი კარგი ქალბა ნამდვილად დაამტკიცე.

დებიდან პირველი დარეჯანი გამოგვაკლდა, შარშან ზამთარში კი შენ გაგაცილე უკანასკნელ გზაზე. დიდი მწუხარება განვიცადეთ თქვენთან განშორებით.

გასულ კვირას ისევ მოვედით შენს საფლავთან და ყვაილებით მოვილოცეთ დაბადების დღე.

საბედნიეროდ, სიცოცხლის ბოლო თვეებში, ეკლესიაში მოსვლა და წირვა-ლოცვაზე დასწრება მოისურვე, მოძღვარიც აირჩიე და ამით სული დაიმშვიდე.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

შენი დები **ლალი, ვენერა და თამარ დობროჯინიძეები.**



სსიპ-გია გოგუაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოზგაურის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი იუწყებიან სახალხო განათლების წარჩინებული და ღვაწლმოსილი პენსიონერი პედაგოგის, **შუშუნა გობრონიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.



საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ბოზგაურის საჯარო სკოლის არაჩვეულებრივი პიროვნების, ქართული სიტყვიერების დიდოსტატის ღვაწლმოსილი პედაგოგის **შუშუნა გობრონიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგებს ნატალია და თამარ თავართქილაძეებს მამის **ამირან თავართქილაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელის, გაზეთ „ალიონის“ ყოფილი განყოფილების გამგის, შესანიშნავი პიროვნების **თამაზ გობრონიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განცხადებები

მეტალოქალასტმასის  
პარ-შანჯრების  
დამზადება  
ყველაზე იაფად და  
სარისხიანად  
ტელ: 598 00 53 53

იყიდება  
სათბურის  
72 კვ. მ. ფართის  
მეტალის  
მიღებისაგან  
შედგენილი  
პარკასი.  
ფასი  
შეთანხმებით.  
დაბვიკავშირდით:  
(593) 38 29 00.

სკანვორდი



Table with 10 columns and 10 rows containing chess-related terms and arrows. The terms include: ციგურის სახეობა, ხეწენა, ხანა, ერთჯერადი სამარშუტო გზა, მღვიმელი, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპ-ში, მდინარე რუსეთში, ჯუმათის თემში შემაგალი სოფელი, ქართველი ნოველისტი, აუღებელი მოწოდება ჩოგბურთში, გულის შეტევა, ლექსის ფორმა, გონალობა, ინგლისის დედაქალაქი, რაჭიდან დაძრული მდინარე, განთიადი, ქალის სახელი, სამთო კურორტი საქართველოში, თბილის მანუბელი, ქართლის ყოფილი გუბერნატორი, გრა-მაგეუული კავშირი, მე-4 ასობგერა, სპირტიანი სასმელი, მგერი, ხერხემლის ნაწილი, მე-3 პირის ნაცვალსახელი, რიცხვი, ღიას, ბანი, ყველაზე გონიერი არსება, ღოღო-რიუკი, თმის საღებავი, ლოკუმენტის შესანახი (კომპ).

№ 25-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ზურაბ საკანდელიძე; მესამე პირის ნაცვალსახელი - იგი; ნაცია - ერი; ელექტროხელსაწყო - რედე; ცივის ანტიბიოტი - თბილი; ფერფლი - აბლი; ქართველი წმინდანი - ილია; შვილის ქმარი - სიძე; ბევრი - მრავალი; ნაწარმოების მთავარი იდეა - არსი; ციმბირელთა ქართველი პაპა - კალანდარიშვილი; მამაკაცის სახელი - ლაშა; მოკლე კაბა - მინი; გიჟი - შეშლილი; ადვოკატი - ვეჟილი; კურკოვანი ხილი - ქლიავი; მოწინავე - ავანგარდი; რუსული ავტობობილი - კამაზი; გადმონაშთი - ანაქრონიზმი; კავშირგაბმულობის საშუალება - რაცია; ყოფილი გერმანული ჩოგბურთელი - ბეკერი; ჭუჭრუტანაში შემოჭრილი სხივი - ათინათი; ცხენის ჩლიქის დამცველი - ნალი; არსაკიბის ზედმეტსახელი - უტა; ჩაის სახეობა - ლაო; ცუდის ანტიბიოტი - კარგი; ერთიანი ნარდში - იაქე; ცეცხლის ენა - ალი; ქალის სახელი - ლიზი; ცხოველის კიდური - თათი; ავტომატარებელი - ტრაილერი; ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო - ურარტუ; ბორჯომის საფეხბურთო კლუბი - თორი; ტბა საქართველოში - შაორი; ბიკინის (საცურაო კოსტუმის) გამოგონებელი - ბერნანდინი; სოფელი სამეგრელოში ჭურია.



# ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში

## (XIX დასასრული-XX დასაწყისი)



აჭარა-გურიის მიხედვით, როგორც დიდი ივანე ამბობდა გარემოზღუდულ რეგიონს იცავდა გარეშე მტრებისგან. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ, არაერთხელ ყოფილა რომ ჩენი ქვეყნის ამ თუ იმ მონაპირე კუთხის დაპყრობა და ჩამოშორება უცდიათ, მაგრამ გაერთიანებული აჭარა-გურიის რეგიონი ერთიანი ძალით მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. სამწუხაროდ, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს საზღვრებს მოსული მტერი აწესებდა.

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება 1858 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნატორის მიერ საქართველოს საზღვრებსა და მიწებთან დაკავშირებით გაკეთებული დოკუმენტი, სადაც საუბარია რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრების ადგილის თაობაზე და ქობულეთის რეგიონის სოფლების: ჩეხედანას, ნაცხაგატევის და ქაქუთის მდებარეობის შესახებ. რსებული საბუთიდან ირკვევა, რომ ნაცხაგატევი არასოდეს არ ყოფილა თურქეთის ბატონობის ქვეშ და გურია-აჭარის საზღვრებში იყო მოქცეული. ჩეხედანა ქრისტიანული სოფელი იყო, ხოლო ნაცხაგატევი კი მუსულმანური რელიგიის აღმსარებელი.

აჭარა-გურიაში შემოსული დამპყრობელი, როგორც თურქეთი ისე რუსეთი ცდილობდა თავისი სურვილის და შეზღუდულების მიხედვით მოეწყო ცხოვრება. 1878 წლის შემოერთებამდე ბათუმში მოქმედებდა მიწათსაკუთრების თურქული კანონი (მიწის კოდექსი „დუსტურ“) რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა რელიგიის მსახურთ. 1878 წლის 1 ივნისს ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების შემდეგ, რუსეთი მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით კანონის მიღებით ცდილობს ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გავლენის დასუსტებას. რუსეთის ხელისუფლება ძალით ათმბედა საკუთარ მიწებს ადგილობრივ მოსახლეობას და იძულებულს ხდის მუჰაჯირად წასულიყო თურქეთში. ამის ერთ-ერთ დამდასტურებელ საბუთს წარმოადგენს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის, გენერალ-მაიორ ნ.ო. ერისთავისადმი ბათუმის ქალაქის მმართველის მიმართვა, რომელშიც საუბარია 1880 წლის დასაწყისში ბათუმთან წასულ მუჰაჯირებზე, რომელთაც ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე წართვეს მიწაზე საკუთრების უფლება.

1878 გაზაფხულზე ბათუმში, ართვინში და სხვა რეგიონებში შეიქმნა შეიარაღებული სამხედრო ორგანიზაცია „მურისმებელი“, რომლის ამოცანა იყო ბრძოლა რუს დამპყრობთა წინააღმდეგ. გარკვეული დროის შემდეგ რუსეთმა განაღდა ეს ორგანიზაცია.

ერთი სვეტიცხე ქვეშ იმყოფებოდა როგორც აჭარის ისე გურიის მოსახლეობა. ახლანდელ გამოცემა ქართული ლიტერ-

ასიათებდა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები; 1973: შესავალი). ვერ კიდევ „1840 წელს რუსების მიერ ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული, წმინდა რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი ელემენტების მოღალატე ჩამოცილება“ „რუსეთის განაპირა კოლონიურ რაიონებში, სადაც ცარიზმი სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც ახორციელებდა, გაცილებით უფრო მძიმე და მტკიცე იყო შეურყეველი წინააღმდეგობა და მისი შედეგები“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები; 1973: შესავალი).

1910 წლის 1 სექტემბერს რუსეთის მეფისნაცვალ კავკასიაში თავის საიდუმლო წერილში თქვამდა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათაბირო გამოიტყაზდა სურვილს, რომ სამხედრო ვალდებულება გავრცელებულიყო იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრებ მოსახლეობაზე. თუმცა რუსეთის სამხედრო მინისტრი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ინოვაციებისგან (უცხო ტომები, ასე მოიხსენიებდნენ ქართველებს) შექმნილი რევოლუციური სამხედრო შენაერთი, რადგან თვით ინოვაციები გამოიტყაზდნენ ზიზღს სამხედრო ჯარში სამსახურზე, ასევე წინადადებას იძლეოდა თავი შეეკავათ ისეთი გადაწყვეტილებისგან, რაც აღმოეთქვამდა გამოიწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში. სამხედრო მინისტრს უფრო მეტად აინტერესებდა რუსული კოლონიზაციის საქმე. აღნიშნული საქმის გამოკვლევის და დადგენის მიზნით, სამხედრო მინისტრს შედგენილი ჰქონდა კითხვარი, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა: არმიის რომელ ნაწილებში (ქვეითი, ცხენოსანი, კახაკების ასული და ა.შ) შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება, როგორი იყო ინოვაციების განწყობა, გამოიწვევდა თუ არა ეს ღონისძიება მათი მხრიდან აღმოეთქვამდა და წინააღმდეგობას, იყვნენ თუ არა ინოვაციები საიმედო და ერთგული ჯარისკაცები, 100 მამაკაცისგან რამდენი პროცენტით გაეწვიათ ჯარში, განსაკუთრებით რომელი კუთხის მცხოვრებნი იყვნენ უფრო საიმედონი, იყვნენ თუ არა ინოვაციები ფიზიკურად სრულყოფილინი, ჰიგიენური წესების დამცველინი, გამოიწვევდა თუ არა ეს ღონისძიება მათ მასიურ ემიგრაციას რუსეთის საზღვრებს მიღმა და ეს უკანასკნელი საგადასახლებლად მოუტანდა იმპერიას.

საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამკვიდრებას კავკასიის ქრისტიანებს შორის ასწლეული დასჯიდა. რუსეთის ხელისუფლება ამ საკითხს თანდათანობით წვევდა, კერძოდ კავკასიის ქრისტიანთა საეკლესიო გვარის წარმომადგენლები საკუთარი სურვილით მსახურობდნენ რუსეთის არმიაში ოფიცრებად, თავადანაურთა შვილები თითქმის იძულებით აღიზრდებოდნენ რუსულ კადეტურ კორპუსებში, სამხედრო გიმნაზიებში. თავადანაურთა ქალიშვილები კარგ პირობებში სწავლობდნენ კეთილშობილთა ინსტიტუტებსა და ქალთა გიმნაზიებში. ყაზანელი და ასტრახანელი თათრები დღემდე ინარჩუნებენ სიმამრებს თურქების მიმართ. წლები განმავლობაში ბრიტანეთის დაქვემდებარებაში მყოფი ინდოეთის ადგილობრივი არმია რელიგიური ნიშნით იყო დაყოფილი, ერთმანეთისადმი მტრულად იყო განწყობილი და ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი ასიმილაცია ბრიტანეთის ნაციონალურ არმიაში.

რუსები დიდად უფროსილებდებოდნენ

იმპერიის საზღვრების თავდაცვის საქმეს და ადგილობრივ მეციდრ მოსახლეობას უნდობლობას უცხადებდნენ. მათ აუცილებლად მიანდებდნენ „ინოვაციების“ სამხედრო სამსახურში გაგზავნა პირველ წელს ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ ყირიმში და ბოლოს ისეთ ადგილებში, როგორცაა ყაზანი და იმპერიის შიდა გუბერნიები.

რუსეთის ხელისუფლება არ ინდობდა არავის, ვინც ეწინააღმდეგებოდა მათ მიზნებსა და ინტერესებს. 1904 წლის 6 მარტის, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ ხულოს ეკლესიის მღვდელი ანტონ ფიცხალავა ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისკენ. რუსებმა ანტონ ფიცხალავა ხულოდან გაიწვიეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1904 წლის 22 მაისის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვის მცხოვრები გიორგი სალუქვაძე სოფელ ღორჯომის მოსახლეობას მოუწოდებდა გადასახლებაზე უარის თქმისკენ და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხორციელების მიზნით გურულებთან გაერთიანებისკენ. გიორგი სალუქვაძე დაწესდა მეთვალყურეობა და გაიდა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. ამ პერიოდში აჭარაში ხმა გავრცელდა, რომ ბათუმის და ოზურგეთის მოსახლეობამ თურქეთის სულთანს გაუგზავნეს მიმართვა, სადაც თანადგომას უცხადებდნენ რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში.

1904 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლითაც საეკლესიო საკუთრება მიღალანდა გადაეცა სახელმწიფოს და ამ გადაწყვეტილების სამართლიანობას იგი ხსნიდა შემდეგი მიზეზით: „**ВСЕМ ХОРОШО ИЗВЕСТНО, ЧТО НИКТО, НИКОГДА, НИЧЕГО НЕ ТЕРЯЕТ, КОГДА ЗДАВАЛ СВОИ ЗАБЕЖЕНИЯ НА ХРАНЕНИЯ В КАЗЕННЫХ УЧРЕЖДЕНИЯХ, КАЗНА БУДЕТ ТОЛЬКО УПРАВЛЯТЬ, ВСЕМИ ЦЕРКОВНЫМИ ИМУЩЕСТВАМИ, НО ВСЕ ДОХОДЫ С ЭТИХ ИМУЩЕСТВ БУДУТ ИДТИ В ПОЛЬЗУ ЦЕРКВЕЙ. В РОССИЙСКОМ ГОСУДАРСТВЕ, ГДЕ СУЩЕСТВУЮТ И КАТОЛИКИ, И ПРОТЕСТАНТЫ, И МАГОМЕТЯНИ, НИ КАТОЛИЧЕСКОЕ, НИ ПРОТЕСТАНТСКОЕ, НИ МАГОМЕТАНСКОЕ ДУХОВЕНСТВО НЕ УПРАВЛЯЕТ ИМУЩЕСТВО СВОИХ ХРАМОВ, БЕЗ ПРАВИТЕЛЬСТВА НАДЗОРА.**

რუსეთის ხელისუფლების ამ უკანონო გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის გუბერნიაში მოჰყვა მასობრივი დემონსტრაციები, მაგრამ ღია დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, რუსეთის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება, რომ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ არმია, ასევე გავრცელდა განცხადება, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა მართლმადიდებლობის წესებზე მოქცევას.

რუსეთის სახელმწიფოსთვის სამომავლოდ ასახლებდნენ რუსეთის გუბერნიაში. 1907 წელს, კავკასიიდან ციმბირში გენერალ ასლან-ბეგ აბაშიძესთან ერთად გასახლებული იქნა ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში, თითო ვინჯარაძის სახლში მცხოვრები ალფრედ მიქელაიშვილი. იგი იყო სოციალ-დემოკრატი, მისმა ორმა შვილმა უარი თქვა რუსეთის არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურზე. ასლან-ბეგ აბაშიძე და ალფრედ მიქელაიშვილი მოსახლეობაში აწარმოებდნენ პროპაგან-

დას გერმანიის იმპერიის ლიბერალური წყობის შესახებ და ათარალებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ თურქეთის არმიისთვის, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო. ამ მიზნით მათ მიერ გურიის სოფლებში დაგზავნილი იქნა პროკლამაციები. მათი თანამებრძოლი იყო ოზურგეთის სოფელ ღვამხუს მცხოვრები ვიქტორ ლიონტი.

1904 წლის 29 ნოემბერს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ბათუმის პოლიციისტიერ კაპიტან ჩიქოვანის და მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტ, მდინის მიერ ბათუმში ჩასმობილი იქნა ოზურგეთიდან ჩამოსულ სამხედროში ასალგაწვეულთა მიერ მოწყობილი ანტისახელმწიფოებრივი ამბოხება. იყო ამის შიშაც, რომ ბათუმის ქარხნის მუშები მხარს დაუჭირებდნენ ამბოხებულებს.

ოზურგეთის მახრის უფროსი ბათუმის პოლიციისტიერს აცნობებდა, რომ ბათუმში, კერძოდ კასაბერში მცხოვრები ალფრედ მიქელაიშვილი, ჭოროხის სანაპიროსთან არსებულ ტყეში ინახავდა საბრძოლველ და ხალხში ავრცელებდა ანტისახელმწიფოებრივ პროკლამაციებს. 1904 წლის 21 აგვისტოს ოზურგეთის მახრის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოასხენებდა, რომ ბათუმში მცხოვრებნი: ალფრედ მიქელაიშვილი, კარლო ჩხეიძე, თეოდორ შარაშენიძე და ექიმი ვოლსკი ანტირუსულ მოძრაობაში ეღებოდნენ მონაწილეობას. აღნიშნული პირები გაერთიანებული იყვნენ ბათუმში მოქმედ საიდუმლო კომიტეტში, რომელიც აწარმოებდა შეიარაღებულ გამოსვლებს. რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებულ სამომავლო პიროვნებად გამოაცხადეს ბათუმში, სასტუმრო „გრანაცია“-ში მცხოვრები თეოდორ შარაშენიძე და დამზღველი ვიქტორ ლიონტი. 1904 წლის 4 თებერვალს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ითხოვდა მათ გასახლებას რუსეთის გუბერნიაში. 1906 წლის 4 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის ყანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლიციისტიერს დაუწვავდა თავის საიდუმლო მოხსენებაში ბრალს სდებდა ეწ სამეგრელო გურიის ჯგუფს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში.

რუსეთის ხელისუფლება ავტოკრატი პროპაგანდის გზით დაპყრობილ ხალხებში ადვილებდა რუსეთისადმი სიყვარულს. 1912 წლის 17 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნეს რომანოვების 300 წლიანი ბატონობის ხანა. ბათუმში, აზიზიის მოედანზე სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოეწყო საერთო სახალხო წირვა-ლოცვა. სობორის მოედანს რომანოვების სახელი უწოდეს. ბათუმის ქალთა გიმნაზიის მიენიჭა რომანოვების სახელი. ბათუმის სკოლებში დაარიეს რომანოვების მეფობის ისტორიის ამსახველი ბროშურები.

გურიისა და აჭარის მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ამ პერიოდში ზემო აჭარაში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები მოეწყო. ხულოს, სხალთის ეკლესიის მღვდელი ლუკა ხუნდაძე ოზურგეთიდან ჩამოსულ პირებთან ერთად აწარმოებდა ანტირუსულ პროპაგანდას.

(გაბრიელა იმნაძე)  
 ნინო ჯაფარიძე  
 მხარა მხარაიშვილი



# სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ოზურგეთში



სასკოლო სპორტული ოლიმპიადის დასკვნითი თამაშები 2019 ქ. ოზურგეთში, სპორტის სასახლეში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი, **ზვიად ზალიაშვილი**; სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში, **ზურაბ ნასარია**; რწმუნებულის მოადგილე, **გია ებრაღიძე**; ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, **კონსტანტინე ამირეჯიბი**, გურიის მხარისა და ადგილო-

ბრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკთან მოწყობილ სარბენ ბილიკზე გამართული ფინალური გარბენით ცნობილი გახდა გამარჯვებული გუნდები ორივე, გოგონათა და ვაჟთა კატეგორიაში. გოგონებში ჩემპიონები გახდნენ ახალციხის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ვაჟებში პირველობა ახალციხის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს. გამარჯვებულები სლოვაკეთში გაემგზავრებიან.

**ფერებურთში:**  
გოგონებში ოლიმპიადის ჩემპიონები თბილისის 103-ე საჯარო სკოლის გუნდი გახდა. ეს ერთ-ერთი წარმატებული სკოლაა საქართველოში, რომელსაც ოზურგეთელი **არჩილ ჩხაიძე** უდგას სათავეში. ვაჟებში ბათუმის მე-5 საჯარო სკოლამ გაიმარჯვა. გამარჯვებული გუნდები ბრაზილიაში გაემგზავრებიან.

**მაგიდის ჩოგბურთში:**  
ვაჟები - თბილისის 90-ე საჯარო სკოლამ, ხოლო გოგონებში - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანის საჯარო სკოლამ გაიმარჯვა. ისინი ჩინეთში გაემგზავრებიან.  
გულშემოტივართა აქტიურობის ფონზე წარმართა ფინალური თამაშები 3X3 კალათბურთში. გოგონებში გაიმარჯვეს თბილისის მე-100 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ვაჟებში ჩემპიონები გახდნენ ქუთაისის მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის ვაჟები. ისინი ინდოეთს ესტუმრებიან.

თბილისის 98-ე საჯარო სკოლა გახდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2019-ის გამარჯვებული ბაღმინტონში ორივე კატეგორიაში. ეს გუნდები ინდოეთში მიიღებენ დიდ



ტურნირში მონაწილეობას. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2019-ის გამარჯვებული ხელბურთში გახდნენ: გოგონებში - მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ვაჟთა კატეგორიაში - თბილისის 161-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. ეს გუნდები სერბეთში გაემგზავრებიან სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატზე. ოლიმპიადის დაგვირგვინდა „კულტურული დღით“. ღონისძიების მონაწილეები მინიატურების პარკში იმყოფებოდნენ. დაათვალიერეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსშესანიშნაობების მაკეტები. ასევე,

დაათვალიერეს „Black Sea Arena“-სთან მდებარე მუსიკალური პარკი, სადაც მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსების ქანდაკებები განლაგებული. შეჯიბრებების მონაწილეებმა სამხსოვრო ფოტოები გადაიღეს. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებითა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა.

## „ციხარტყელეობა“



ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის ჯგუფმა „ციხარტყელეობა“ თავისი საგამოშვებო ღონისძიებით დამსწრე საზოგადოება ალაპარაკა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ღონის ღონისძიება იშვიათად იმართება. ორიგინალური სცენოგრაფია, არტისტიზმი, ბავშვური გულწრფელობა, მაღალი მუსიკალური გემოვნება და შესრულების შესაბამისი ღონე, საოცრად პლასტიკური ქორეოგრაფია, ულამაზესი სახეები, ზღაპრული სამყარო. ამ ყველაფრის ერთად ნახვის შემდეგ საოცარი გრძნობა გეუფლება, რომელსაც მომავალი თაობის დიდი სიყვარული ჰქვია. ვაჟა აფაქიძე, ალექსანდრე აბაშიძე, ბარბარე ბუზალაძე, ლიკა ბოლქვაძე, მარიამ გურჯიძე, ლუკა

გოგოტიშვილი, ელენე დოლიძე, ნიკა ვასაძე, ანასტასია თოხაძე, ანამარია ლომაძე, ბარბარე მუჯირი, კესო ნაცვალაძე, ანამარია ოვციანი, ელენე პაპუნაშვილი, საბა სიორიძე, ნიკა ტალახაძე, ალექსანდრე შინდრიკოვი, ელენე ჩხაიძე, ანასტასია ცერცვაძე, თემო ქარახანი, თორნიკე სალაია, ბარბარე დოლიძე, ელენე იშაძე, ნინო გუბელიძე - აფერუმ ამ ბავშვებს, რომლებიც სექტემბრიდან სკოლის მერხებს მიუსხდებიან და, ჩვენი აზრით, თავიანთი ნიჭიერებით მალე თავიანთ სკოლებსაც ასახელებენ. ჯგუფის აღმზრდელეებია **ლ. ქავთარაძე** და **მ. ინწკირველი**, მუსიკის მასწავლებელი - **ნ. ქილიფთარი**, მეთოდისტი - **ნ. გრძელიძე**. ბაღის მენეჯერია **მარიკა დლონტი**.

## ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები ოზურგეთში

**ალიონი.** გასულ ოთხშაბათს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები სტუმრობდნენ. აქ შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგინეს ბათუმის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „**ჰანგები**“ და თბილისის ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „**ჩოხოსნები**“. ორთავე ანსამბლმა, სადაც 90-მდე ბავშვი გამოდიოდა, კარგი კონცერტი აჩვენეს. ისინი კარგად ფლობდნენ ხალხურ ინსტრუმენტებსაც. განსაკუთრებული იყო ანსამბლ „ჰანგების“ მიერ ხალხურ საკრავ ჭიბონის თანხლებით შესრულებული სიმღერები. როგორც კონცერტის დასრულების შემდეგ „ჩოხოსნების“ ხელმძღვანელმა, ანსამბლ „რუსთაისის“ სოლისტმა **გიორგი ბუგინიშვილი** აღნიშნა, მისთვის სიმღერა პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ანსამბლ „ნერგებში“ დაიწყო. ანზორ ერქომაიშვილის სახელს უკავშირდება და

დღეს ქვეყანაში დიდი მუშაობს მიღის, ბავშვთა ანსამბლების მხარდასაჭერად თუ როგორ კარგად მუშაობენ ისინი, ამის მაგალითი ანსამბლი „ჰანგები“, რომელსაც ნიჭიერი ლოტბარი **ეთერ დარჩიძე** ხელმძღვანელობს. - ასეთი გაცვლითი პროგრამები, რომლის მეშვეობითაც ბავშვები გამოდიან სხვადასხვა ქალაქებში და ერთმანეთს უახლოვდებიან, ეცნობიან ერთმანეთის პროგრამებს, საქართველოს ფოლკლორის სახლმა დაგვემა. ზვალ ისინი ხულოს ესტუმრებიან. ჩვენ მომავალშიც აქტიურად დავგვემათ ასეთ პროგრამებს. „თუ გინდა სიმღერა გადაარჩინო, ის ბავშვებს უნდა ასწავლო“, - ამბობს ანზორ ერქომაიშვილი. ეს ნაბიჯიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება, - განაცხადა კონცერტის დასრულების შემდეგ ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა **ავთანდილ სურგულაძემ**.

## შემაჯამებელი კონცერტი



ოზურგეთის გრიგოლ კლადის სასკოლის საბავშვო სკოლაში მორიგი საანგარიშო კონცერტი ჩატარდა. კონცერტში როგორც მოსწავლეები ასევე პედაგოგები მონაწილეობდნენ. მუსიკალურ სკოლაში სულ 186 ბავშვი სწავლობს. ამთავან კონცერტში 40 მონაწილეობდა. ღონისძიების ორგანიზატორი რუსუდან თავართქიაძე იყო. ღონისძიებას ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე და მერის მოადგილე ალექსანდრე სურგულაძე დაესწრნენ.

## თორნიკე ხვედელიძის ხსოვნის ტურნირზე

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 3 დღეს მიმდინარეობდა ტრავიკულად დაღუპული, გურიის პირველი ჩემპიონის ოზურგეთიდან, არაერთ საჯარო ტურნირში გამარჯვებული **თორნიკე ხვედელიძის** მემორიალური ტურნირი. ტურნირში მონაწილეობდნენ როგორც უფროსი ასაკის მოჭადრაკეები, ისე მოსწავლეები. საბოლოოდ ტურნირის გამარჯვებული ტარიელ ხუზუნაშვილი გახდა, მეორე ადგილზე **ელგუჯა ურუშაძე** გავიდა. მესამე ადგილის მფლობელია ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე **თენგიზ თიბიძე**.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

	მცირე წვიმა +12+17		მზე, +14+28		მზე, ღრუბლი +16+25		მცირე წვიმა +18+25		მზე, ღრუბლი +17+23		მცირე წვიმა +17+22		მლ-ჭქვი +18+23
1 ივლისი ორშაბათი	2 ივლისი სამშაბათი	3 ივლისი ოთხშაბათი	4 ივლისი ხუთშაბათი	5 ივლისი პარასკევი	6 ივლისი შაბათი	7 ივლისი კვირა							